

ანი რაინაული

Ovidius University in Constanta, რუმინეთი.

„Erasmus+ ის პროგრამის ფარგლებში ვიმყოფებოდი ოვიდიუსის უნივერსიტეტში ქალაქ კონსტანცაში (რუმინეთი) სამუშაო ვიზიტით.

კვირის განმავლობაში შევხვდი პირველი, მეორე და მესამე კურსის სტუდენტებს ფსიქოლოგიის პროგრამიდან. სემინარები ჩატარდა საინტერესო და განსხვავებულ გარემოში, სადაც სტუდენტებს ჰქონდათ საშუალება ჩართულიყვნენ დისკუსიაში და ემსჯელათ ფსიქოთერაპიის მიმართულეებზე, მის მნიშვნელობებზე და სამუშაო პროცესზე. მათ მიიღეს საინტერესო ინფორმაცია ფსიქოთერაპიის ჰუმანისტურ მიმდინარეობებზე. ასევე აღსანიშნავია სხვა სალექციო პროცესში შფოთვითი აშლილობების განხილვა და რეალური ქეისის დამუშავება (რომელიც სპეციალურად იყო გამიზნული სასემინარო პროცესისთვის, ეთიკური ნორმების გათვალისწინებითა და თავად კლიენტის თანხმობით).

ასევე შევხვდი და გავიცანი კოლეგები და პროფესორები, დიდი ინტერესითა და ჩართულობით მოისმინეს კავკასიის უნივერსიტეტისა და საქართველოს შესახებ ინფორმაცია. გავისაუბრე დეკანთან და რექტორთან, რომლის დროსაც განვიხილეთ აღნიშნული პროგრამის მნიშვნელოვნება. დავათვალიერე კამპუსები და გავეცანი უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაციას.

ოვიდიუსის უნივერსიტეტში ვიზიტი კავკასიის უნივერსიტეტის სახელით იყო განსაკუთრებული და ძალიან მნიშვნელოვანი გამოცდილება, რადგან მხვდა პატივი წარმედგინა კავკასიის უნივერსიტეტი, გამეცნო მათთვის საქართველო და სტუდენტებისთვის გამეზიარებინა ჩემი საყვარელი პროფესია და საქმიანობა.”